ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 179 (20925) — პარასკევი, 3 აგვისტო, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲠᲝᲛᲔᲚ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲕᲐᲛᲐᲯᲝᲒᲘᲜᲔᲑᲗ?

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲖᲚᲣᲠᲑᲚᲖᲔ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონპროექტები, რომლებსაც მოუთმენლად ელოდა ჩვენი საზოგადოებრიობა. ის ენთუზიაზმი და გაცნობიერებული ინტერესი, რომელსაც საზოგადოება იჩენს ამ კანონპროექტებისადმი, გამოწვეულია იმით, რომ საქართველო დღეს დემოკრატიული არჩევნების ზღურბლზეა, რაც, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს დემოკრატიულმა საარჩევნო კანონმა. ეს პუბლიკაცია მარტო იმით როდი იპყრობს მკითხველის ყურადღებას, რომ ხსენებული საარჩევნო კანონპროექტები სულ არ ჰგავს წინამორბედ კანონებს, ათეული წლების განმავლობაში რომ მოქმედებდა საქართველოს ტერიტორიაზე. საყურადღებო უფრო მეტად ის მოვლენაა, რომ ერთსა და იმავე საგაზეთო აქ სამი ალტერნატიული კანონპროექტია გამოტანილი მკითხველის სამსჯავროზე, რაც პირველად ხდება 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ.

გამოქვეყნებული სამი პროექტიდან, ეტყობა, ორი ოფიციალური ხელისუფლების პროექტია, ხოლო ერთი შეიმუშავეს „მრგვალ მაგიდაში“ გაერთიანებულმა ორგანიზაციებმა. ეს ორგანიზაციებია „დასი“ (დემოკრატიული არჩევნები საქართველოში), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, მწვანეთა პარტია და სახალხო ფრონტი.

პროექტები ახალი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით არის შემუშავებული და ბევრ ისეთ დებულებას შეიცავს, რომლებიც, თუმცა ყურს უჩვეულოდ ხვდება და ამიტომ შეიძლება მიუღებლადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ, თუ მკითხველი უფრო დაკვირვებით გაეცნობა ამ პროექტებს, მათში უთუოდ ნახავს ბევრ სწორ და საგულისხმო დებულებას. გარკვეულ სირთულეს ქმნის ის, რომ ზოგ საკითხში პროექტები ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებზეა. ასეთ პირობებში მკითხველსაც და დეპუტატებსაც, რომლებიც მომავალ სესიაზე ამ პროექტებს განიხილავენ, ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ იმაზე, თუ ალტერნატიული დებულებებიდან რომელია სწორი და მისაღები. ცხადია, ამ საკითხზე პრესაშიც და შემდეგ, ალბათ, სესიაზეც გაიმართება აზრთა ჯანსაღი გაზიარება. აქ მხოლოდ გაკვრით შეიძლება მივუთითოთ ის საკითხები, რომლებიც სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი ხსენებულ პროექტებში.

ერთ-ერთი ასეთი საკითხია საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოში ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა. ოფიციალური პროექტით, საქართველო დაიყოფა სამას საარჩევნო ოლქად, საიდანაც აირჩევა თითო დეპუტატი. ე. ი. სულ უნდა აირჩიონ 300 დეპუტატი. მეორე, ალტერნატიული პროექტის მიხედვით, დეპუტატთა რაოდენობა საქართველოს უზენაეს საბჭოში უნდა განისაზღვროს 201 დეპუტატით. აქედან „101 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, ხოლო 100— პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე სრულიად საქართველოს პარტიული სიების მიხედვით“. (იხ. მუხლი 1).

როგორც პრესა გვაუწყებს, საარჩევნო კანონპროექტის შემდგენელი კომისიის წევრთა უმრავლესობა მხარს უჭერდა იმ დებულებას, რომ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რაოდენობა 201 კაცით განისაზღვროს. როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას „კომისიის წევრთა უმრავლესობა იმით ასაბუთებდა, რომ ჩვენისთანა პატარა რესპუბლიკისათვის დეპუტატთა ეს რაოდენობა სრულიად საკმარისია. გარდა ამისა, 300 დეპუტატისგან შემდგარი უზენაესი საბჭო ნაკლებად მოქნილი იქნება საკითხების დროულად და დემოკრატიულად გადაწყვეტის თვალსაზრისით და ა. შ.

ალტერნატიული პროექტის მე-2 მუხლი არსებითად ბინადრობის ცენზს განსაზღვრავს. „არჩევის უფლება აქვს, — ვკითხულობთ ამ მუხლში, — საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის 23 წელი შეუსრულდა და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას“. ეს წესი ვრცელდება ქართველზეც და არაქართველზეც. მაგალითად, თუ ეროვნებით ქართველმა არ იცის ქართული ენა, მას, ალტერნატიული პროექტის მიხედვით, უზენაესი საბჭოს დეპუტატად ვერ აირჩევენ.

რატომ? იმიტომ, რომ ქართული ენა საქართველოში სახელმწიფო ენაა და, მაშასადამე, ამის მიხედვით ყველა სახელმწიფო დაწესებულება და, მათ შორის, უზენაესი საბჭოც მუშაობს ქართულ ენაზე. ამიტომ დეპუტატმა უნდა იცოდეს იმ დაწესებულების სამუშაო ენა, სადაც იგი მუშაობს. ჩვენი აზრით, საარჩევნო კანონპროექტების გამოქვეყნებამდე სასურველი იყო, რომ დაბეჭდილი ყოფილიყო აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის კანონის პროექტი. ბევრი დებულება, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს მოქალაქეობის კანონში, ზეგავლენას იხდენს საარჩევნო კანონის შემუშავებაზე. ამიტომ არის, რომ ამ თვალსაზრისით განსახილველ პროექტებს შორის მკვეთრი წინააღმდეგობაა. ეს ეხება, მაგალითად, იმ საკითხს, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ამომრჩეველი და რას — ასარჩევი დეპუტატი.

ასევე აუცილებლად მიმაჩნია მომზადებულიყო და გამოქვეყნებულიყო პარტიების კანონპროექტი, ვინაიდან მასში განისაზღვრებოდა ისეთი ცნებები, რომლებიც გაგვიადვილებდა საარჩევნო კანონპროექტების დამუშავებას.

ამან გამოიწვია ის, რომ მეორე პროექტი იძლევა პარტიის ცნების განსაზღვრას. „პარტია წარმოადგენს საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, — ვკითხულობთ იქ, — რომელიც ხელს უწყობს ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებას...“ და ა. შ. (იხ. მუხლი 8).

სამაგიეროდ, სხვა პროექტები ასახელებენ პარტიებს, პოლიტიკურ გაერთიანებებს, ბლოკებს, მაგრამ არ ხსნიან, თუ რა იგულისხმება მათში. თუკი ჩვენ გვექნებოდა პარტიის კანონი, მაშინ ეს საკითხი ყველასათვის ერთნაირად გადაწყდებოდა.

როგორც ოფიციალურ, ისე ალტერნატიულ პროექტებში სხვა ბევრი სიახლეცაა მოქმედ საარჩევნო კანონმდებლობასთან შედარებით, რომელთა ერთ საგაზეთო წერილში განხილვა ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ ის კი აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამ პროექტების შეჯერება და მათ საფუძველზე ახალი საარჩევნო კანონის ჩამოყალიბება, რაც უნდა მოხდეს მომავალ სესიაზე, უთუოდ შეუწყობს ხელს ჩვენი დღევანდელი ცხოვრების დემოკრატიზაციას. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში წამოჭრილი ბევრი რთული პრობლემის მოგვარება.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲛᲣᲠᲔᲚᲘᲫᲔ,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲒᲐᲜᲛᲘᲡᲘᲚᲐᲕᲗ ᲛᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ



„**ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ**“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ასზე მეტი კომუნისტია. მის შემადგენლობაშია მეცნიერული ინტელიგენციის, გლეხობის, მუშათა კლასის წარმომადგენლები. მიუხედავად ამისა, გაერთიანების კომუნისტებს დღეს ერთი საფიქრალი და საზრუნავი აქვთ: როგორი უნდა იყოს საქართველოს კომუნისტური პარტია იმისათვის, რომ სათანადო ადგილი დაიკავოს ჩვენს განახლებულ, დამოუკიდებელ ცხოვრებაში. ამას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პარტიის ძირითადი დებულებების საბოლოო სახე, რომელთა განხილვასაც გაერთიანების პირველადი პარტიული ორგანიზაციის ამასწინანდელი კრება მიეძღვნა. გთავაზობთ კრების მონაწილეთა ზოგიერთ მოსაზრებას.

ᲕᲐᲟᲐ ᲗᲣᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ, „ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ“ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲘ:

საქართველოს კომპარტიის პროგრამის, ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების პროექტის განხილვა იმითაც არის საყურადღებო, რომ თითოეულ კომუნისტს კიდევ ერთხელ ეძლევა საშუალება განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება ამჟამად მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისადმი. მდგომარეობა ცვალებადია და სწორედ ამიტომ, აუცილებელია ყველა ჩვენგანმა მთელი პასუხისმგებლობით თქვას: ვისთან ვარ და რა ნსურს? ამ კონტექსტით მიმაჩნია, რომ პარტიაში დაბრუნების შესაძლებლობა მეტად გაიოლდა. როგორც დებულებების ორიელი თავის მე-5 პუნქტშია ნიშნული, „პარტიაში დაბრუნება კვალიფიცირდება, როგორც პარტიაში ხელახალი მიღება“. ამგვარი ფორმულირება ხომ არ აუხსნის გზას ბევრ ისეთს, რომელიც დღეს აქ არის, ხვალ — იქ? იქნებ უკეთესი იყოს დებულებებში მოინახოს ადგილი ცნებისათვის „პარტიის რიგებში აღდგენა?“

ᲘᲚᲘᲖᲐᲑᲐᲠ ᲡᲘᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲝ:

პროექტის განხილვისას უნდა ავითვალისწინოთ ,, მოვლენათა განვითარების დინამიკა — ასეთია დღევანდელობის ერთ-ერთი ფუნდამენტური თვისება. მხოლოდ პროექტის ,, ,, ,,

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპის წინ

მრგვალი მაგიდის მონაწილენი კვლავ მსჯელობენ აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრიობას აღელვებს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპის წინ. ამჯერადაც მეორდება წინა კითხვები, პასუხები კი, ბუნებრივია, განსხვავებულია, მათი საერთო არის გულწრფელობა და სამშობლოს ბედით დაინტერესება.

1. რა იმედებს ამყარებთ საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპზე, კერძოდ, რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი კომპარტიის დამოუკიდებლობის პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით?

2. როგორ აფასებთ ამასთან დაკავშირებით სკკპ XXVIII ყრილობის შედეგებს, რით მიიპყრო მან თქვენი განსაკუთრებული ყურადღება, რამდენად გამოიკვეთა ყრილობაზე პარტიის შიგნით სხვადასხვა ძალების მოქმედების კონტურები?

3. წარსული, აწმყო, მომავალი. რა კავშირს ხედავთ მათ შორის, რა გზით ვიაროთ ჩვენს ქვეყანაში ათვალი წლების მანძილზე დაშვებული შეცდომებისა და დეფორმაციების გამოსწორებისათვის, საკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტის დამკვიდრებისათვის, საზოგადოების ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციისათვის?

4. სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა: თქვენი აზრით, რომელმა მათგანმა (ან ორივემ ერთად) განსაზღვრა არსებული ვითარება, როგორია თქვენი დამოკიდებულება საკუთრების ფორმებისადმი, პირდაპირ ვთქვათ, კერძო საკუთრებისადმი?

5. საით მივდივართ, რა დადებითი თუ უარყოფითი ძვრები შეინიშნება საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი ემანსიპაციის დარგში, რა ვიღონოთ თვითგანწმენდისა და თვითამაღლებისათვის?

ვლადიმერ მაღასიძე,

გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის სასოფლო ტერიტორიული პარტიული კომიტეტის მდივანი:

1. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპი უნდა იქცეს საქართველოს კომუნისტთა ყველა შეცდომის აღიარებისა და მათი გამოსწორებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის სათავედ რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი კომუნისტური პარტიის დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. ამას უნდა მოჰყვეს საქართველოს ტერიტორიის მიტაცებასა და წიაღისეული სიმდიდრეების განიავებაზე ვეტოს დადება, რესპუბლიკის ტერიტორიაზე (განსაკუთრებით შავიზღვისპირეთში) სხვადასხვა საკავშირო უწყებების და მაღალი რანგის პირთა მიერ ქართველი ხალხის თანხმობის გარეშე მშენებლობების შეწყვეტა, საზღვაო ნაოსნობისა და სამოქალაქო ავიაციის რესპუბლიკის მთავარობისადმი დაქვემდებარება, რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნა და ეროვნული საჯარისო ფორმირების ჩამოყალიბება.

მხოლოდ აღნიშნული და სხვა პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლით შესაძლებს საქართველოს კომპარტია დაკარგული ავტორიტეტისა და ნდობის აღდგენას.

2. სკკპ XXVIII ყრილობა იყო ყველაზე დემოკრატიული საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მისი შედეგებიდან აღსანიშნავია რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების დამოუკიდებლობის გაზრდა და „ცენტრის“ პოზიციების შესუსტება. ის, რომ რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიებს უფლება აქვთ არ მიიღონ „ცენტრის“ გადაწყვეტილება, თუ ის ერის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ნამდვილად დიდი მიღწევაა.

3. წარსულს, აწმყოს და მომავალს ერთმანეთთან აკავშირებს ქართველი ერის სწრაფვა თავისუფლებისაკენ. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მსგავსად დღეს საქართველოს კვლავ უხდება ბრძოლა თავისუფლების, სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამ ბრძოლაში წარმატების მიღწევისათვის საჭიროა ეროვნული ინტერესების წინა პლანზე წამოწევა, პიროვნების მოქალაქეობრივი სტატუსის შემოღება, ისეთი კონსტიტუციის შემუშავება და განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის უფლებათა დაცვას.

4. რესპუბლიკაში და საერთოდ საბჭოთა კავშირში შექმნილი ვითარება განსაზღვრა სოციალიზმის თეორიამ და მისი განხორციელების პრაქტიკამ ერთობლივად. სოციალიზმის თეორიის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იგი კატეგორიულად ილაშქრებს კერძო საკუთრების წინააღმდეგ, რომელიც უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ბერკეტს წარმოადგენს.

საზოგადოებრივი საკუთრების პირობებშიც შეიძლება მიღწეულ იქნეს ეკონომიკის აღმასვლა, მაგრამ იგი უნდა იმართებოდეს ეკონომიკური და არა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით, რასაც ვხედებოდით სოციალიზმის პრაქტიკაში. ამის მაგალითია იძულებითი კოლექტივიზაცია, რომელსაც მოჰყვა კოლექტიური საკუთრების სახელმწიფოებრივში გადასვლა საბჭოთა მეურნეობის სახით. პრაქტიკულად მოხდა „განგლეხება“, მიწა გლეხისათვის გახდა „სხვისი“, რამაც უარყოფითად იმოქმედა ეკონომიკაზე და კრიზისულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

სოციალიზმის თეორია პრაქტიკულად უარყოფდა საბაზრო ეკონომიკას, არ უწევდა ანგარიშს საბაზრო ფასებს. ნაცვლად იმისა, რომ სასურველი დარგების განვითარება მომხდარიყო ეკონომიკური სტიმულირების მეთოდით, ფასთა რეგულირებით, ფაქტობრივად ამის მიღწევას ცდილობდნენ ადმინისტრაციული მეთოდებით.

ამის დადასტურებაა მევენახეობის დარგის მდგომარეობა კახეთში, როდესაც გლეხთამ მაღალი შრომატევადობისა და ყურძნის დაბალი შესასყიდი ფასების გამო პირი იბრუნა მევენახეობისაგან და კურსი აიღო ისეთი პროდუქციის წარმოებისაკენ, როგორიც არის საადრეო კიტრი, პომიდორი, საზამთრო, ატამი, რომელთა რეალიზაციას მაღალ ფასებში ახდენდა, ნაცვლად იმისა, რომ ყურძნის დამზადების ფასები გაეადიდებინათ და ამით შეეჩერებინათ ვენახების ფართობების შემცირების ტენდენცია, ხელისუფალთა მიერ მიღებული იქნა კანონი ვენახის უნებართვოდ გაკაფვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, აიკრძალა სოფლის მეურნეობის პროდუქტების არა მარტო რესპუბლიკის გარეთ, არამედ ერთი რაიონიდან მეორე რაიონში გატანა, რაიონის საზღვრებზე გაჩნდა შლაგბაუმები, თითქოს თითოეული რაიონი ცალკე სახელმწიფოა.

საერთოდ მომხრე ვარ საკუთრების ყველა ფორმისა, მათ შორის კერძო საკუთრებისა, მაგრამ ამ შემთხვევაში გამორიცხული უნდა იყოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. მისი მიღწევა სოფლის მეურნეობაში შეიძლება ფერმერული წარმოების დანერგვით, ხოლო მრეწველობაში ქარხანა-ფაბრიკების აქციებით აღნიშნულ საწარმოებში მომუშავე მუშაკებზე გადაცემის გზით.

5. თითქოს უკეთესობისაკენ მივდივართ. მხედველობაში მაქვს არა ეკონომიკური სიძნელეები და ეროვნული კონფლიქტები, რომელიც ქვეყანაში დაბადეთ ვითარებას ქმნის, არამედ ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის. საჭიროა საბჭოთა კავშირი ჭეშმარიტად თანასწორუფლებიანობასა და ნებაყოფლობით საწყისებზე შექმნილ თანამეგობრობის კავშირად გადაიქცეს, რომელსაც საერთო ინტერესები ექნებათ პოლიტიკაში და თავდაცვის საქმეში.

აუცილებელია ბრძოლა აღნიშნული თანამეგობრობის შექმნისა და დამოკიდებულების მიღწევისათვის, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს რესპუბლიკის პროგრესული ძალების კონსოლიდაციას.

ედუარდ კოდუა,

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი:

1. საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპზე განსაკუთრებულ იმედებს არ ვამყარებ, რადგან საქართველოს კომპარტია არ მიმაჩნია იმ ძალად, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ასეთ ძალად მხოლოდ ქართველი ხალხი მესახება, პირობად კი დემოკრატიის დამკვიდრება საბჭოთა ცხოვრების წესში. ვფიქრობ, საქართველოს კომპარტიას არ გაჰყვება ხალხი, რადგან იგი მთელი არსებობის მანძილზე სხვისი ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა და არც თავისი სტატუსით არის ეროვნული პარტია.

2. სკკპ XXVIII ყრილობამ დადებითი როლი შეასრულა კონსერვატიული ძალების დამარცხებით. არსებობდა კონსერვატიზმის გამარჯვების რეალური საფრთხე. მნიშვნელოვნად მეჩვენება ლიგაჩოვშინის დამარცხება, მაგრამ ის ჯერაც საშიშია და საჭიროა პროგრესული ძალების კონსოლიდაცია. ყრილობაზე პარტიის შიგნით სამი ძალა გამოიკვეთა: მემარჯვენეები, რომლებიც ძველს დაბრუნებას ესწრაფვიან; ზომიერი რეფორმის მომხრენი გორბაჩოვის მეთაურობით, რომლებმაც ფართო მასშტაბის რეფორმების პროგრამა წამოაყენეს, მაგრამ საზოგადოების გათიშვის შიშით ბოლომდე ვერ მიიყვანეს და თავისებური შუალედური პოზიცია დიაკვეს მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის; მესამე ჯგუფი — დემოკრატიული პლატფორმის მომხრენი, რომლებიც რადიკალურ გარდაქმნებს მოითხოვენ როგორც პარტიულ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს უკანასკნელი უფრო პერსპექტიულად მესახება.

3. წარსულისადმი კრიტიკულ პოზიციას ვადგავართ, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ დავძლიეთ. აწმყოს კრიზისული ვითარება წარსულის შედეგია და მომავალი არაპერსპექტიულია, თუ განახლების პროცესი არ გასცდება საზოგადოებრივი ცხოვრების ფასადს და საფუძვლიანად არ შეარყევს გაფაშრებულ ღირებულებებს, რასაც ვემყარებოდით ათეული წლების განმავლობაში. გორბაჩოვის მიერ გამოცხადებულ საკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტის დამკვიდრება მოითხოვს საზოგადოებრივი ცნობიერების ახალ დონეზე ამაღლებას. ამის რეალური განხორციელება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. კაცობრიობის უფსკრულის წინაშე დგომის ვითარებაში პასუხისმგებლობა ადამიანის ბედისათვის გვეკისრება თანამედროვე და მომავალ თაობებს, ამ ცნობიერებით უნდა ვმოქმედებდეთ. ჯერჯერობით შორსა ვართ ამ ცნობიერებისაგან.

4. სოციალიზმის თეორიამაც და პრაქტიკამაც განსაზღვრეს არსებული კრიზისული ვითარება, კერძოდ, თეორიის უტოპიურობამ, რეალური პირობების გაუთვალისწინებლობამ, ჩვენი მოქმედების და საქმის თეორიასთან შეუსაბამობამ, პარტიისა და სახელმწიფოს გადაქცევამ ადამიანის გაუცხოების წყაროდ.

რაც შეეხება საკუთრებისადმი დამოკიდებულებას, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოებისთვის საკუთრების ფორმის საკითხი გახდა ერთ-ერთი ძირეული და მწვავედ ისმის კითხვა: რომელში ვეძებოთ უპირატესობა — საზოგადოებრივში, კერძოში თუ მათ თანაარსებობაში? ყოველი ღირებულებითი ორიენტაციის ამოსავალი უნდა იყოს ცხოვრება. XX საუკუნეში ჩვენ გვაქვს საკუთრების ორ განსხვავებული ფორმაზე აგებული ცხოვრების ორი განსხვავებული წესი. რა მოგვცა თითოეულმა? საზოგადოებრივ საკუთრებაზე აგებულ საზოგადოებაში გაბატონდა ეკონომიკური სიდუხჭირე, მოხდა შრომის ნაყოფიერების დაცემა, დაიკარგა შრომისადმი სიყვარული, შრომის საგნებისადმი და, განსაკუთრებით, მარჩენალი მიწისადმი მიჯაჭვულობის გრძნობა, საზოგადოება ჩავარდა ისეთ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში, რომლიდან გამოსვლაც საკუთარი ძალებით არ შეუძლია და ელოდება დახმარებას იმ სეკტორისაგან, რომლის უარყოფაზე აიგო ეს საზოგადოება. ამ ვითარების განმსაზღვრელი „გარეგადამწყდომი“ მიზეზი საზოგადოებრივი საკუთრებაა.

ფაქტობრივად ეს ცნება ფიქცია გამოდგა. არავითარი საზოგადოებრივი საკუთრება არაა, რაც მივიღეთ — ან სახელმწიფო საკუთრებაა, ან „საარვისო“ საკუთრება. არც ერთი და არც მეორე არაა ადამიანთა კომუნიკაციის, „მეს“ თავისთავად იგივეობის წყარო. სახელმწიფო საკუთრება — ეს არის ადამიანებისაგან გაუცხოებული, გამაუცხოებელი ძალა კი სახელმწიფო. არ შეიძლება ადამიანი გულით იღვწოდეს სახელმწიფო საკუთრების განმტკიცებისათვის, რადგან ის მხოლოდ ბიუროკრატიის საკეთეს უზრუნველყოფს. საზოგადოების გაუცხოების ერთ-ერთი ნიშანია ბიუროკრატიის სულ უფრო მზარდი ბატონობა. რაც მთავარია, ადამიანს არ აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოებრივ თუ ამ საარვისო საკუთრების მიმართ.

3. წარსული, აწმყო, მომავალი. რა კავშირს ხედავთ მათ შორის, რა გზით ვიაროთ ჩვენს ქვეყანაში ათეული წლების მანძილზე დაშვებული შეცდომებისა და დეფორმაციების გამოსწორებისათვის, საკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტის დამკვიდრებისათვის, საზოგადოების ჯანსაღი ძალების კონსოლიდაციისათვის?

4. სოციალიზმის თეორია და პრაქტიკა: თქვენი აზრით, რომელმა მათგანმა (ან ორივემ ერთად) განსაზღვრა არსებული ვითარება, როგორია თქვენი დამოკიდებულება საკუთრების ფორმებისადმი, პირდაპირ ვთქვათ, კერძო საკუთრებისადმი?

5. საით მივდივართ, რა დადებითი თუ უარყოფითი ძვრები შეინიშნება საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი ემანსიპაციის დარგში, რა ვიღონოთ თვითგანწმენდისა და თვითამაღლებისათვის?

ელგუჯა ძვათაძე,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

1. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა პარტიის ყრილობის პრეროგატივა არ არის, იგი უნდა გადაწყვიტოს საბჭოების ყრილობამ, რომლის დეპუტატებს აირჩევენ მრავალპარტიულობის სისტემის საფუძველზე. პარტიის ყრილობა უფლებამოსილია ამ საკითხთან დაკავშირებით შეიმუშაოს თავისი პლატფორმა და წარუდგინოს საბჭოების ყრილობას. პლატფორმის შემუშავება დიდ დაკვირვებას და გონიერებას მოითხოვს. აქ აღარ გამოგადგება დიალოგი და დროის გაყვანის კურსი, ცალკეული სოციალური ჯგუფების საამებლად გადაწყვეტილებების ფორმალურად მიღების მავნე პრაქტიკა. აუცილებელია პრინციპულად გაირკვეს საკითხი: დამოუკიდებლობა კაპიტალისტური თუ სოციალისტური არჩევანის გზით? თუ ყრილობა დამოუკიდებლობის კაპიტალისტურ არჩევანს მიიღებს, მაშინ ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს საკითხი პარტიის სახელწოდების შეცვლის შესახებ. კომუნისტური პარტია ბურჟუაზიის დასამხობად შეიქმნა და, ბუნებრივია, პარადოქსი იქნება თუ საქართველოს კომპარტია ბურჟუაზიული დემოკრატიის არჩევანის პირობებში თავის სახელწოდებას შეინარჩუნებს.

2. სკკპ XXVIII ყრილობის შედეგებმა ჩემზე ორმაგი შთაბეჭდილებები მოახდინა. დადებითად მიმაჩნია ის, რომ ყრილობამ თავისი შემდგენლობის სიჭრელის მიუხედავად, ერთსულოვნად აღიარა გარდაქმნის აუცილებლობა და მისი შეუქცევადობა. სასიამოვნოა ისიც, რომ ბოლო ეღება ცენტრის დიქტატს და შაბლონური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკას. მოსაწონია დემოკრატიული ცენტრალიზმის პროცესების რეფორმაცია, რომელიც აპირობებს პირველადი პარტიული ორგანიზაციების უფლებამოსილებათა გაზრდას. კმაყოფილება მომგვარა ყრილობის მუშაობის ახლებურად წარმართვამ, როცა დელეგატებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეთქვათ თავიანთი აზრი, გაეკრიტიკებინათ ყველა რანგის მუშაკი. მოსაწონია, ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში რესპუბლიკების კომპარტიების წარმომადგენლობათა თანაბარი ნორმების დაწესება და ალტერნატიულ საფუძველზე გენერალური მდივნისა და მისი მოადგილის ყრილობაზე არჩევა.

მე, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენელს, უფლება არა მაქვს არ ვთქვა ყრილობის დაბალი თეორიული დონის შესახებ. პლატფორმებში და დელეგატთა გამოსვლებში ობიექტურად არ იქნა შეფასებული სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული პროცესის შედეგები, არ გაიმიჯნა ერთმანეთისაგან ნებგბერიური და პოზიტიური მოვლენები, არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ რამ მიიყვანა სოციალიზმი და კომუნისტური პარტია კრიზისამდე. ყრილობაზე ხშირად გაისმოდა სიტყვები სტალინური სოციალიზმისა და მისი მავნე შედეგების შესახებ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სტალინი სოციალისტური რევოლუციისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის თეორიის ფუძემდებელი არ არის, იგი, ამ თეორიის პრაქტიკულად განხორციელების ორგანიზატორი იყო. ვინც კარგად იცნობს ვ. ი. ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას, მისთვის ნათელია, რომ მან შეიმუშავა ერთ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენების თეორია, კერძოდ, ნახევრად ფეოდალურ რუსეთში, სადაც მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

60-იანი წლებიდან მსოფლიოში ახალი ეპოქა იწყება, ატომმა და წყალბადმა მსოფლიოს გადარჩენის საერთო საზრუნავი გაუჩინა სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოებს. ამიტომაც ორ სისტემას შორის მშვიდობიანი თანაარსებობა ობიექტურ აუცილებლობად ნეს. ამან პატიოსანი კომუნისტების უკმაყოფილება გამოიწვია. ვფიქრობ, პარტიაში ანგარებით შესულ კომუნისტებთან ერთად დღეს მის რიგებს, სამწუხაროდ, ბევრი პატიოსანი კომუნისტიც დატოვებს.

3. ერის სამომავლო ამოცანების დასახვა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ობიექტურად შევაფასებთ ერის განვითარების ისტორიული პროცესის შედეგებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში არასახარბიელოა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მეცნიერულ ნიადაგზე ვერ დავაფუძნეთ საქართველოს წარსულისა და აწმყოს ისტორიის შესწავლა-შეფასების საქმე.

ჩვენი აზრით, საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ გადაქცევა ერომ მოიტანა და იგი შეუქცევადი პროცესია, თუმცა არ შეიძლება ქმაყოფილებით არ აღინიშნოს ეროვნული მოძრაობის ზვლილი ამ პროცესის დაჩქარებაში. საზოგადოებრივი აზრი რელიეფურად გვიჩვენებს, რომ ქართველი მოსახლეობის მთელი შემადგენლობა, პარტიულობისა და სოციალური შემადგენლობის განურჩევლად, ერთ მიზანს ესწრაფვის და იბრძვის ერის დამოუკიდებლობისათვის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი, რადიკალურ პოზიციაზე დგას, ხოლო მეორე ნაწილი მოითხოვს ობიექტურად შეფასდეს დამოუკიდებლობის პირობებში ერის შესაძლებლობანი და მისი გათვალისწინებით წარმართოს მუშაობა. ამ საქმეში ერთნაწილი ფარული ახსნა-განმარტებითი მუშაობის საფუძველზე.

4. სოციალიზმს მხოლოდ ერთადერთი გაგება აქვს. ეს არის საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და შრომის მიხედვით განაწილება, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვახორციელებთ. ყრილობის მიერ აღებულ კურსს ჰუმანური სოციალიზმის აშენების შესახებ, ჩემი აზრით, კონკრეტული ამოცანა არ აქვს. სრულიად მართებულად მიმაჩნია ცვლილება, რომელიც შეიტანა პარტიის პროგრამაში XXVIII ყრილობამ სოციალიზმის სრულყოფის შესახებ, მაგრამ ეფიქრობ, რომ საზოგადოება საერთოდ ხელს არ აიღებს სოციალური თანასწორობის მიღწევის იდეაზე და ადრე თუ გვიან შექმნის მისი განხორციელების მეცნიერულ მექანიზმს.

სოციალიზმი მისი სრულყოფის პირობებში არ გამორიცხავს კერძო საკუთრებას იმ სფეროებში, სადაც საკუთრების საფუძველია ადამიანის შრომა და დაუშვებელია სხვისი შრომის მითვისება, ამიტომ მართებულად მიმაჩნია საკუთრების ორივე ფორმის კონსტიტუციურ პრინციპად აღიარება. ჩემი აზრით, კერძო საკუთრება ადამიანისაკენ მიმავალი გზა, გზა ეკლიანი, ხიფათებით სავსე, მაგრამ მაინც გასავლელი.

საქართველომ თავისი ეკონომიკური სისტემა უნდა შეიმუშაოს და ამ სისტემას დაუქვემდებაროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა რესურსი, სხვანაირად ჩვენი წინსვლა შეუძლებელია.

კომუნისტურმა რეჟიმმა თავიდანვე შეაქცია ზურგი ეკლესიას და უარყო მარადიული მოძღვრება ქრისტესი და ამით კიდევ უფრო დაამძიმა კაცთმოდგმის ისედაც ცოდვილი სული. დადგა ჟამი სულიერი განწმენდისა და ვინც ნამდვილად ქართველია, ის შეძლებს კიდეც ერთი პატარა სანთელი დაანთოს ქრისტიანი საქართველოსათვის, მისი გადარჩენისათვის. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ელგუჯა ბერიძე,

ბორჯომის რაიონული საავადმყოფოს ექიმი:

1. ჩემი აზრით, დღევანდელ ეტაპზე საქართველოს კომუნისტური პარტიის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადება თვით კომუნისტური პარტიის შიგნით გამოიწვევს ბევრ პრობლემებს, რადგანაც მგონია, რომ წარმოიქმნება სკკპ პლატფორმაზე მდგარი ძლერი ოპოზიცია, ან ცალკე პარტია, შემდგარი არაქართველი წევრების საკმაოდ მძლავრი ჯგუფისაგან.

ამიტომ ამ პირობებში საქართველოს კომპარტია უნდა დარჩეს სკკპ-ში შემავალი, ან უნდა შეიქმნას ახალი პარტია, რომელიც ეაიერთიანებს საქართველოს ცეთილღელობისათვის მზრუნველ თანამოაზრეებს.

2. სკკპ XXVIII ყრილობის მუშაობის პერიოდში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კონსერვატიული და რადიკალური ძალები. რაკი დელეგატებს შორის კონსერვატიულად მოაზროვნენი ჭარბობდნენ, რა თქმა უნდა, ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა ყრილობის გადაწყვეტილებებში, და აღმოჩნდა, რომ პარტია არ განახლდა, იგი კვლავ თვლის თავს ავანგარდულ ძალად, ხელმძღვანელობას მთლიანად თვითონ კისრულობს, ამავე დროს პარტიამ თავი აარიდა 70 წლის მანძილზე დაშვებული შეცდომებისთვის პასუხისმგებლობას. მე მგონია, თუ ოგივე პარტია იქნება ხელმძღვანელი, რომელმაც 70 წლის მანძილზე გვატარა შეცდომებით და არაფერზე პასუხი არ აგო, რა გარანტია გვაქვს, რომ არ განმეორდება იგივე ან ახალი შეცდომები.

3. წარსული ცნობილია. ჩვენი ეროვნული კეთილი მომავლის გზას მრავალპარტიულობაში ვხედავ, ოღონდ უნდა მოისპოს ერთი კლასის ან ერთი პარტიის დიქტატურა. ყველა პარტია და მისი ლიდერები ერთი რამისთვის— დამოუკიდებელი საქართველოს კეთილდღეობისთვის უნდა ზრუნავდნენ, და არა პირადი პოპულარობისთვის. დღევანდელ პარტიებში, რა თქმა უნდა, გაერთიანებული არიან პოლიტიკურად განვითარებული, სოდად მოაზროვნე ადამიანები, მაგრამ ჯერჯერობით ბევრნი არიან ფეხის ხმას აყოლილნიც. ამიტომაა პარტიებს შორის არაჯანსაღი შეზლა-შემოხლა. ეს საქართველოს მომავალს უკან დაწევს, დღეს საჭიროა ჯანსაღი ძალების კონსოლიდაცია, გაერთიანება, რაც ალბათ, მრავალპარტიულობის პირობებში თანდათან მოხდება.

4. მარქსის თეორიის დოგმატურმა გადმოტანამ რუსეთში, შემდგომ ამ თეორიის რეალურმა განხორციელებამ სტალინის ტოტალიტარული მეთოდით გამოიწვია ხალხის, მშრომელების გაუცხოვება მიწისა და საწარმოებისგან. ხალხმა ვერ გაითავისა ის, რომ ყველაფერი ხალხის საკუთრებაა, და ეს მხოლოდ ლოზუნგად დარჩა, რამაც არსებული ვითარება შექმნა. ამიტომ იბადება აზრი, რომ კერძო საკუთრება ან ჯგუფური საკუთრება მკვეთრად გაზრდის მწარმოებლის დაინტერესებას, ბატონ-პატრონობის, უკეთ მოვლის გრძნობას.

5. გამოღვიძებულმა ეროვნულმა თვითშეგნებამ მძლავრი ბიძგი მისცა საზოგადოების ყველა ძალის გააქტიურებას. ამ ძალებს მართვა სჭირდება. დღეისთვის შედეგს ვეღარ იძლევა ძველი მეთოდებით ხელმძღვანელობა, მაგრამ ახალი მეთოდებიც არ ჩანს. ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს. ამიტომ ჩვენი გზა მიემართება მართვის სისტემის შეცვლისაკენ.

ალექსანდრე ქრაფაშვილი,

სიღნაღის რაიონის ფნორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე:

1. როგორც მოვლენებმა დადასტურეს, საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის ორ ეტაპად გამართვა სვლებით სწორია, ეს რომ ასეა, საკავშირო ყრილობაზე მიღებულმა გადაწყვეტილებებმაც ცხადყო. ის, რაც საქართველოს კომუნისტებმა ამოცანად დაუსახეს ჩვენს დელეგაციას საკავშირო ყრილობაზე, მთლიანად შესრულდა. რაც მთავარია, სკკპ წესდების 22-ე მუხლის შესწორება სასიკეთოა არა მარტო ჩვენი, არამედ სხვა რესპუბლიკების კომპარტიებისათვისაც.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპზე ჩამოყალიბდეთ, როგორც დამოუკიდებელი კომპარტია. ამას კი, როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სუვერენიტეტს განმტკიცებისათვის. ჩემი აზრით, ეს ნამდვილად ასე უნდა მოხდეს, შესაძლებლობა ხელიდან არ უნდა გავუშვათ, რადგან საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მისი კომპარტიის დამოუკიდებლობის პრობლემების გადაწყვეტა საქართველოს მშრომელთა სისხლხორცეული საქმეა.

2. ბუნებრივია, თვალყურს ვადევნებდი საკავშირო ყრილობის მიმდინარეობას. გული საგულეს მაშინ ჩადგა, როცა ძალები გაწონასწორდა. ყრილობაზე პროგრესულ ძალად მ. ს. გორბაჩოვი გამოჩნდა. მისმა ფრთამ გაიმარჯვა, მაშასადამე, ახლა პარტია ხალხისათვის იქნება და არა სახელმწიფოსათვის.

დიდ საქმედ მიმაჩნია, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების პირველი მდივნები პოლიტბიუროს წევრები გახდნენ. ამის შემდეგ, ჩემი აზრით, ნაკლები იქნება ხელის ფათური რესპუბლიკის უფლებებში.

3. ერი ძველი თქმულება მაგონდება: შვილი გოდორს წნავდა, მეზობელმა ჩამოიარა და ჰკითხა: ეს გოდორი რად გინდაო. მან უპასუხა: მამაჩემი დაბერდა, აღარ შეუძლია, ამ გოდორში უნდა ჩავსვა, ფერდობზე დავაგორო და თავიდან მოვიშოროო. მეზობელმა ცალყბად ურჩია: მაშინ ისეთი გამძლე გოდორი დაწანი, რომ შენს შვილსაც გამოადგესო. ჩვენც რომ არ ალმოვჩნდეთ იმ გოდრის დამწვნელს, ამან პატიოსანი კომუნისტების უკმაყოფილება გამოიწვია. ვფიქრობ, პარტიაში ანგარებით შესულ კომუნისტებთან ერთად დღეს მის რიგებს, სამწუხაროდ, ბევრი პატიოსანი კომუნისტიც დატოვებს.

3. ერის სამომავლო ამოცანების დასახვა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ობიექტურად შევაფასებთ ერის განვითარების ისტორიული პროცესის შედეგებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში არასახარბიელოა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მეცნიერულ ნიადაგზე ვერ დავაფუძნეთ საქართველოს წარსულისა და აწმყოს ისტორიის შესწავლა-შეფასების საქმე.

ჩვენი აზრით, საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ გადაქცევა ერომ მოიტანა და იგი შეუქცევადი პროცესია, თუმცა არ შეიძლება ქმაყოფილებით არ აღინიშნოს ეროვნული მოძრაობის ზვლილი ამ პროცესის დაჩქარებაში. საზოგადოებრივი აზრი რელიეფურად გვიჩვენებს, რომ ქართველი მოსახლეობის მთელი შემადგენლობა, პარტიულობისა და სოციალური შემადგენლობის განურჩევლად, ერთ მიზანს ესწრაფვის და იბრძვის ერის დამოუკიდებლობისათვის. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი, რადიკალურ პოზიციაზე დგას, ხოლო მეორე ნაწილი მოითხოვს ობიექტურად შეფასდეს დამოუკიდებლობის პირობებში ერის შესაძლებლობანი და მისი გათვალისწინებით წარმართოს მუშაობა. ამ საქმეში ერთნაწილი ფარული ახსნა-განმარტებითი მუშაობის საფუძველზე.

4. სოციალიზმს მხოლოდ ერთადერთი გაგება აქვს. ეს არის საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება და შრომის მიხედვით განაწილება, რომელსაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვახორციელებთ. ყრილობის მიერ აღებულ კურსს ჰუმანური სოციალიზმის აშენების შესახებ, ჩემი აზრით, კონკრეტული ამოცანა არ აქვს. სრულიად მართებულად მიმაჩნია ცვლილება, რომელიც შეიტანა პარტიის პროგრამაში XXVIII ყრილობამ სოციალიზმის სრულყოფის შესახებ, მაგრამ ეფიქრობ, რომ საზოგადოება საერთოდ ხელს არ აიღებს სოციალური თანასწორობის მიღწევის იდეაზე და ადრე თუ გვიან შექმნის მისი განხორციელების მეცნიერულ მექანიზმს.

სოციალიზმი მისი სრულყოფის პირობებში არ გამორიცხავს კერძო საკუთრებას იმ სფეროებში, სადაც საკუთრების საფუძველია ადამიანის შრომა და დაუშვებელია სხვისი შრომის მითვისება, ამიტომ მართებულად მიმაჩნია საკუთრების ორივე ფორმის კონსტიტუციურ პრინციპად აღიარება. ჩემი აზრით, კერძო საკუთრებისა

შენ გზა მითხარი, ის გზა, რომელიც...

„კომუნისტის“ დაუსწრებელი მრგვალი მაგიდა

ნაწილი მესამე

